ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასოფლო გაზეთი


## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**გაზეთის ფასი:**

| | გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | 7 მან. | 6 |
| ნახევრის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 მ. 50 კ. | 2 — |

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. მებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოეგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 10. სამშაბათი. I. 7 მაისს 1868 წ.


**შინაარსი:** მთავრობის განკარგულება.—გამოკვლევაზედ განცხადება.—სახაზინო განცხადება.—აბრეშუმის მოყვანაზედ.—რუსეთის ცხოვრებიდგან.—არითმეტიკა.—კერძოობითი განცხადება.—

---

**უმაღლესი ბრძანება. წესი, თუ როგორ მიეცეს გლეხებს, სახელმწიფო შემოსავლიანი ადგილ-მამულები** (оброчныя статьи). 62 მუხ. კანონკრებათ VIII ტ. ნაწ. 1, სახელმწიფო შემოსავლიან ადგილ-მამულების დებულების ძალითა, სახელმწიფო გლეხებს უფლება აქვთ, რომელთამე შემთხვევაებში სახიზნოთ (არენდათ) აიღონ სახელმწიფო შემოსავლიანი ადგილები კანონიერის სოფლის საზოგადოებათ გარდაწყვეტილობით, უგიროთ, (ზალოგის შეუტანელათ). რაკი სახელმწიფო გლეხებიც საზოგადო უწყებაში შევიდნენ, სახელმწიფო ქონების მინისტრმა დაინახა, რომ სასარგებლო იქმნებოდა ეს კანონი საზოგადოთ ყველა გლეხებისთვის, და იმისთვინ თავისი წინადადება შეიტანა გლეხთა წოდების გამართვის უმთავრესს კამიტეტში. უმთავრესს კამიტეტს თავისი ჰაზრი გამოუთქვამს, რომ სახელმწიფო შემოსავლიანი ადგილების გლეხებისათვის მიცემაზე ეს შემდეგი წესი იყოს: 1) ყოველ წოდების გლეხებს, მთელის საზოგადოებით, თემობით, ან მარტო თითოობით შეუძლიანთ შემოსავლიანი ადგილები აიღონ თავიანთ მამულებთან, ან 15 ვერსამდე არა უშორეს მდებარე. ამის ასაღებათ თავდებობა რიგიანათ ქირის გადახდისათვის გირაო (ზალოგი) არ უნდა. ეს ადგილები ქირით მიიცემა ექვსი წლითა, და ცალკე თითო კაცის თავზე გლეხებს იმისთანა ადგილი მიეცემა, რომ ოცდა ათ თუმანზე მეტს შემოსავალს არ იძლეოდეს. ამ ადგილების აღებისათვის გიროს მაგივრათ გლეხთა საზოგადოებამ თავისი გარდაწყვეტილება უნდა წარუდგინოს; ცალკე თითო გლეხმა კი თავისთვის ადგილის აღებისათვის თავის სოფლის საზოგადოების გლეხების თავდებობა უნდა წარადგინოს, ქვემოხსენებულ წესისამებრ. შემოსავლიან ადგილის ხარჯის რიგიანათ მიცემის თავდებობისთვის გიროს მაგივრათ მიიღება სოფლის საზოგადოების, თემის, გადაწყვეტილება იმოდენ ფულის ჯამისა, რამდენი სულიც სოფლის მართელ საზოგადოებაშია, თითო სულზე სამსამი მანეთის ანგარიშით და სათითაო გლეხს თავდებობაში კი იმდენათ, რამდენიც თავდებობაში იკისრებს, სულზე ხუთი მანეთის ანგარიშით. ამას შემდეგ ამ გვარის სოფლის თემის გარდაწყვეტილობის, ან თავდებობის მიღების შემდეგ გიროს მაგივრათა, სხვა გადაწყვეტილობა, თემისა ან თავდებობა თითო გლეხისა აღარ მიიღება სხვა შემოსავლიან ადგილებისათვის. 3) სახელმწიფო ქონების მინისტრს უფლება აქვს ზემოხსენებულ სიშორისა, შემოსავლის ზომისა და თავდებობის ზომის გარდა, რომ გლეხების თხოვნითა და ადგილობრივ სახელმწიფო ქონების მმართველთა წარდგინებითა მიეცეს გლეხებს შემოსავლიანი ადგილები იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთარი შესაწყნარებელი მიზეზები იქნება და როდესაც ქირის შეტანა საეჭვო არ იქნება. 4) ზემოხსენებული (მუხლი 1 და 2) სოფლის თემის გარდაწყვეტილება უნდა შესდგეს ორის ნაწილის ჰარბობით ერთ ნაწილზე სოფლის სახლკარის მეპატრონეთაგან, რომელთაც თემის კრებაში (ერობაში) ხმა აქვთ და უნდა მოხდებოდეს იმ წესით, როგორც მოხსენებულია წესდებაში თებერვლის 19 ისა 1861 წლისაში. ეს გადაწყვეტილება და სათითაო თავდებობა შემოწმებული უნდა იყოს სოფლის საზოგადოების სასამართლოსაგან, რომ ნამდვილი გადაწყვეტილებაა ისა და კანონიერათ აღსრულებულა და უნდა იყოს შეტანილი წიგნში, რომელიც სასამართლოშია შეკრულობისა და შეპირების წერილებისათვის. 5) ნამდვილი გარდაწყვეტილება სოფლების თემებისა და თავდებობაცა უბრალო ქაღალდზე უნდა იყოს დაწერილი და უნდა შეიტანებოდეს ადგილობრივ სახელმწიფო ქონების სამმართველოში მანამდის, ვიდრე იმის შეკრულობის ვადა გავიდოდეს; ამას შემდეგ, უნდა დაუბრუნდეს ეს შეკრულობები ზედ წარწერით სოფლის სასამართლოსა, რომელსაც არ შეუძლია მანამდის ადგილების ასაღებათ ან ხაზინასთან საქმისათვის, სხვა გარდაწყვეტილება თემისა, ან თავდებობა შეიტანოს ზემოხსენებულ (მუხლი 4) წიგნებში. ხელმწიფე იმპერატორმა უმთავრეს კამიტეტის ჟურნალზე, 23 იანვარს 1868 წელსა საკუთარის ხელით ინება ხელის მოწერა: „აღსრულდეს“.

# განცხადება.

**მისის იმპერატორებითის უმაღლესობის** მიერ დამტკიცებულის პლანით გამიჯვნის მოქმედებისათვის წრეევანდელს წელს, გამიჯვნა მოხდება:

**ტფილისის გუბერნიაში**, ა) **დუშეთის** უეზდში, ქსნისა და **არაგვის** გაღმა გამოღმა, მტკვრიდგან და **საგურამოს** მთიდგან დაწყობილი **დუშეთს** გარეშე მდებარე მამულებამდინ; ბ) **გორის** უეზდში, მტკვრის გაღმა გამოღმა, ასე რომ მარცხენა მხარეს ამა მდინარისა მამულები გაიმიჯნება **გორის** ქალაქიდგან დაწყობილი, და მარჯვენა მხარეს ამავე მდინირისა გაიმიჯნება მამულები დასავლეთით **საჯავახომდინ**; გ) **ტფილისის** უეზდში, გამიჯვნის მოქმედება განვრცელდება იმავე ადგილებში, სადაც დაწყობილი იყო მიჯვნა, გაუქმებული **მეორისა**, **მესამისა**, **მეოთხისა**, **მეხუთისა** და **მეექვსე** კამმისიებისაგან და ამასთანავე ხელ ახლა დაიწყობა მიჯვნა იმ მამულებისა, რომელნიც მდებარენი არიან **ბოლნისისა** და **მაშავერის** ხეობეებში; დ) **თელავის** უეზდში გაიყოფება მონაწილეებთა შორის მამულები, შემომიჯნულნი გაუქმებული **მეშვიდე** და **მერვე** კამმისიებისაგან და ამასთანავე გაიმიჯნება მამულები, მდებარენი **ალაზნის** მარჯვენა მხარეზედ, **ვარდისუბანსა** და **წინანდალს** შორის, და აგრეთვე მამულები თავადთ **ანდრონიკაშვილებისა**, რომელნიც მდებარებენ აღმოსავლეთის მხარეს ამა უეზდისა; ე) **სიღნახის** უეზდში გაიმიჯნება მამულები თავადი **ანდრონიკაშვილებისა**, მდებარენი **ალაზნის** მარჯვენა მხარესა; 3) **ახალციხის** უეზდში პირველად დაიწყობა გამიჯვნა იმ მამულებისა, რომელნიც მდებარებენ **ახალციხის** ქალაქის გარეშემო, და შემდგომ გაიმიჯნება მამულები, მდებარენი სივრცეზედ **ახალციხიდგან** დაწყობილი **აბას—თუმნამდინ**. —

**ქუთაისის** გუბერნიაში გამიჯვნა დაიწყობა **ქუთაისის** უეზდში, **ქუთაისის** ქალაქის გარეშემო მდებარე მამულებისა, მაშინ, როდესაც აიღება პლანზე მამულები, შარშან გაკეთებული ტრიგონომეტრიული სეტის საფუძველით, და შემდეგ დაიწყობა გამიჯვნა **ყვირილისა** და **რიონის** გაღმა—გამოღმა მდებარე მამულებისა. —

**ელიზავეტპოლის** გუბერნიაში აიღება პლანზე **განჯის** ქალაქში მდებარე მამულები, ოც და ხუთი საჟენიანი მასშტაბით, და შემდგომ გაიმიჯნება მამულები, მდებარენი ამ ქალაქში; **შუშის** უეზდში გამიჯვნის საქმეები დაიწყობა **შუშის** ქალაქიდგან მოყოლებული ჩრდილოეთისა და ჩრდილოთ დასავლეთის მხარისაკენ, **ყარღარა—ჩაისა** და **ხან—ჩაის** შეყოლებაზე **ტერტერისა** და **ყირკაიას** მდინარეებამდინ.

**ერევნის** გუბერნიაში გაკეთდება მხოლოდ საფუძვლად ტრიგონომეტრიული სეტი **ახალბაიაზეთის** და **ერევნის** უეზდებში, მისთვის რომ შეიძლებოდეს მომავალს წელს აღება პლანზედ ამ მამულებისა და შემდგომ გამიჯვნაცა მათი.

ამას გარდა, **მის იმპერატორებითის უმაღლესობის** დიდის მთავრის **კავკაზიის** ნამესტნიკის საკუთარის განკარგულებით ამა 1868 წელს გაიმიჯნება **შამლუღის** მამული, მდებარე **ტფილისის** უეზდში.

**უმაღლესის** უქაზით, 9 დეკემბერს 1867 წ. არის ნაბრძანები 4 მუხლში, როგორათაც თვით გამიჯვნა, აგრეთვე გარჩევა ამ გამიჯვნის დროს აღმოჩენილის დავებისა, უნდა მოხდეს სრულის საფუძვლით გამიჯვნის წესდებულებისა 29 თიბათვის 1861 წ., ქვემოხსენებულის ცვლილებით:

**ა).** მოწვევა მამულის პატრონთა სამძლვარზედ, მიღება მათგან მიჯნების ჩვენებისა მამულების საკუთრებაზედ, დამტკიცება უდავო სამძღვრებისა, შერდგენა მორიგებითი პირობებისა, პოლევის ჟურნალებისა და სხვა აქტებისა იმაზედ, რაც მოხდება გამიჯვნის დროსა, და აგრეთვე შერდგენა სადაო და უდაო მამულების პლანებისა, მიენდობა განსაკუთრებით დანიშნულთ ზემლემრებს, გაგზავნილთ ადგილობრივ; მას შემდგომ განრჩევა და გარდაწყვეტა დავებისა, რომელნიც აღმოჩნდება გამიჯვნის დროს, და აგრეთვე ზემლემრების მოქმედებაზედ საჩივრისა მიენდობა **ოკრუჟნის** სუდებსა, რომელთაც აქვსთ ნება შეარდგინონ განსაკუთრებითი, ადგილობრივ გასასვლელად, ოტდელენიები (განყოფილებანი). —

განსაკუთრებითი მეჟვის ნაწილის განყოფილება გაღმოღმა **კავკაზიისა** აცნობებს რა ამ განკარგულებას საყოველთაო საცნობლად, აცხადებს, რომ გამიჯვნა მამულებისა დაიწყობა მაისში, და 60—64 მუხლით უმაღლესად დამტკიცებულის გამიჯვნის წესდებულებისა **კავკაზიის** აქეთი მხრის, ყველა მამულის მპატრონენი და წოდებანი მოვალენი არიან თვითონ უგდონ ყური გამიჯვნის მოქმედებასა უეზდში და ზემლემრების მიახლოვებასა მათს მამულებთან, მისთვის რომელ ზემლემრების მისვლის დროს სამძღვარზედ იყვნენ ყველანი მზათ, არამც თუ აჩვენონ თვისი მამულების სამძღვრები, არამედ დაამტკიცონ თვის მიერ ნაჩვენების სიმართლე და საფუძვლიანობა, ყოველის კანონიერის საბუთებით, თუ ვინიცობაა აღმოჩნდა დავა.

ამისათვის მამულის მეპატრონენი მოვალენი არიან: 1, ზემლემრის მისვლის დროს ანუ თვითონ უნდა დახვდნენ გასამიჯნავს მამულში, ანუ გამოგზავნონ განსაკუთრებითი ვექილები (პოვერენიები); 2, ჰქონდეთ მზათ ყოველი სიგლები და დოკუმენტები, რომელნიც ამტკიცებენ მამულის პატრონის უფლებასა მის მიერ ნაჩვენებ მამულზედ, ყოველივე ეს საბუთები უნდა იყვეს გადმოთარგმნილი თვისის კოპიოებით და ჩააბარონ მათ, ვინც მიჯნების ჩვენების მოვალენი არიან, და 3, გამოცხადდნენ სამძღვარზედ უწყებაში დანიშნულს დროზედ, ანუ საზოგადოდ, მაშინ როდესაც ზემლემერი მივა მამულის გასამიჯნავათ, გამოსაცხადებლად და დასამტკიცებლათ თვისის მამულის უფლებისა.

თუ ვინიცობაა ზემლემრის მისვლის დროს სამძღვარზედ არც თვითონ მამულის მეპატრონე, არც მისი ვექილი სამძღვრის საჩვენებლად გასამიჯნავ მამულში არ აღმოჩნდნენ, მაშინ მიჯნები უნდა უჩვენონ მოურავეებმა, სოფლის მოხელეებმა, ანუ გლეხთაგან აღმორჩეულთა, და თუ ესენიც არ გამოცხადდნენ, მაშინ სამძღვრებს უჩვენებენ მომიჯნავენი.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამძღვრის მაჩვენებელს დავის აღმოჩენის დროს, თან არ ექნება მზათ ყოველი დოკუმენტები, ანუ სხვა დასამტკიცებელი საბუთები, მაშინ დავა გადაწყდება იმ საბუთებით, რომელნიც იქნებიან მზათ.

ვინც უწყების მიღების შემდგომ, ან საზოგადოდ ზემლემრის მისვლის დროს, მემამულის სამძღვარზე არ გამოუცხადებს თვის უფლებასა მამულის საკუთრებაზედ, მაშინ აღარ შეუძლიან ითხოვოს მამულის ხელ-ახლა გამი-

ჯენა და არც დაბრუნება იმ მამულისა, რომელიც შემომიჯნულია სხვის სახელზედ რომელსაც თავის დროზედ გამოუცხადებია თვისი უფლება.

რწმუნების წერილი, მიცემული მამულის პატრონებთაგან გამიჯვნის საქმეებზედ უნდა იყოს დაწერილი შემდგომის ფორმით.

186 წ. დღეს, მე, ქვემორე ხელის მომწერელი, ვაძლევ უფლებასა (ამა და ამასა, წოდება, სახელი და გვარი), რომ ჩემს მაგიერად დაესწროს გამიჯვნის დროს ჩემდა კუთვნილთ მიწებთა, მდებარეთა (ამა და ამ უეზდში, ამა და ამ სოფელში); ამასთანავე ვაძლევ ნებასა, რომ უჩვენებდეს მამულების სამძღვრებსა, გამოაცხადებდეს დავასა, შეიტანდეს არზებსა, საჩივრებსა და აპელლაციებსა და მოისმენდეს განაჩენსა, აგრეთვე მოახდენდეს დაზავებით მორიგებასა და საერთო მამულების გაყოფასა, შეურიგდებოდეს, ამოირჩევდეს შუა კაცთა და შუა-კაცთა ალმორჩევის წერილებ'აა, ანუ ზაპისებსა და სხვა აქტებსა მოაწერდეს ხელსა.

ხელის მოწერა
მრწმუნებლისა

ხელ წერილი |1
მოწმებისა |2

## სახაზინო განცხადება.

**ტფილისის მაზრაში** საეკკლესიო ქონების გამგებელს, ნადვორნი სოვეტნიკს არჯევანიძეს რადგან ჰსურს იჯარით გაჰსცეს მომავალი 1-ლი მაისიდგან 1) ბალბის საეკკლესიო წისქვილი, ორი ნაჭერი სარწყავი მიწითა, 2) სამიკიტნო და სოფელს ხაშმში სასმელების გასყიდვის ნება, ამისგამო მსურველთა მოუწოდებს ხაშმს და ბალბიანს სავაჭროთ კეთილ საიმედო გირაოთი.

**რადგან სახელმწიფო ქონებათა** გასამგებომ არ დაამტკიცა იჯარით გაცემა ორი საეკკლესიო ბალისა ქრწანისში, ამისთვის ტფილისის მაზრაში საეკკლესიო მამულების გამგებელი, ნადვორნი სოვეტნიკი არჯევანიძე მომავალს 1-ლს მაისს მოუწოდებს მსურველთა საჯაროთ ამავე ბალების იჯარით გასაცემათ; ამასთანავე იჯარადარმა უნდა წარმოადგინოს რიგიანი გირაო.

## აბრეშუმის მოყვანაზედ.

(დასასრული).

**აბრეშუმის ჭიის ბოჟი და პეპელა; თესლის დაყრა და შენახვა.**

აბრეშუმის ჭია რომ პარკში ჩაჯდება სამი დღიდგან ხუთ დღემდის მოუნდება ხოლმე პარკის ქსელვას; როდესაც სულ გამოელევა აბრეშუმი და პარკის კეთებასაც დაასრულებს, მაშინ ჭია ნელნელა გარდიქცევა ბოჟად და ბოლოს ბოჟიდგან პეპელა გამოდის. პეპელა პარკიდგან თორმეტს, ან თხუთმეტს დღეს შემდეგ გამოვა ხოლმე (იმ დღიდგან რომ ვიანგარიშოთ, რა დღესაც ჭია პარკის კეთებას დაიწყებს); თითქმის ყველა პეპელა გამოდის პარკიდგან დილის ოთხ საათსა და ათ საათს შუა. რადგან აბრეშუმის პარკები მაგრათ არიან მოქსელილნი, ამის გამო, როდესაც გამოსვლის დრო მოუვა პეპელას, მაშინ ის პარკის ერთ ბოლოს თავისგან გამოდენილი სითხეთი დაალბობს ხოლმე და მერე თავითა და ფეხებით თავის აბრეშუმის საცხოვრებლიდგან გამოსავალ ხვრელს იკეთებს. რადგან აბრეშუმის პარკი პეპლის გამოსვლას შემდეგ ამოსახვევად აღარ ივარგებს, ამის გამო სათესლედ მხოლოდ იმდენი პარკი უნდა შეინახონ, რამდენიც თესლი უნდათ და დანარჩენში კი პეპლის გამოსვლამდის უნდა ამოახრჩონ ბოჟი.

დედალ-მამალი პეპლები ადვილად შეიძლება გაარჩიოს კაცმა: დედალი პეპელა უფრო დიდია მამალზე და უფრო მსხვილიც არის, რადგან მუცელი კვერცხებით ანუ თესლითა აქვს სავსე; ფერით თეთრია და რომელი პარკიდგანაც გამოსულა, ყოველთვის იმ პარკს ახლოსა ჰზის; მამალი პეპელა დედალზე უფრო პატარაც არის და უფრო წვრილიც, ფერითაც ნაცრის ფერია და თავის პარკთან არაოდეს არ დადგება—სულ დაცოცავს და ფრთებს აფრთხიალებს: ეს იმიტომ რომ ის დედალ პეპელას ეძებს და როცა კი იპოვის—შეერთდება ხოლმე იმასთან და იმის თესლს გაანაყოფიერებს; დედალი პეპელა ყოველთვის მიიღებს ხოლმე მამალს და ორნივენი იქამდის დარჩებიან შეერთებულნი, ვიდრე თითონ მამალი არ დაესხნება. დედალ-მამალი პეპელა ხან-და-ხან ერთ დღე და ლამეს არიან ხოლმე შეერთებულნი; მაგრამ ეს არ არის კარგი, რადგან დედალი პეპელა ლონესა ჰკარგავს და ამიტომ თესლსაც ცოტასა ჰყრის. ამისგამო შეერთებას შემდეგ ექვსი საათი რომ გავიდეს შეერთებულ პეპლებს უნდა ფრთები დაუჭირონ და ერთმანერთს მოაცილონ. იმას შემდეგ დედალი პეპლები უნდა მსხვილი ქალალდის ფართო ყუთში ჩასხან ცალკე და მამლები კი დახურვილ ყუთში შეინახონ, რომ, ვინიცობაა თუ სათესლე პარკებიდგან სულ დედალი პეპლები გამოვიდნენ, იმათი განაყოფიერებისთვის იხმარონ და, თუ არ იყოს საჭირო,—უნდა გადაყარონ.

დედალი პეპელა თესლის დაყრას ორს ან სამ დღეს ანდომებს, და როცა სულ დაჰყრის, ორ ანუ სამ დღეს უკან კვდება; ყველა დედალი პეპელა ხუთასიდგან შვიდას თესლამდის დაჰყრის ხოლმე; დედალ პეპელას შეუძლიან უმამლოთაც დჰაყაროს თესლი, მაგრამ იმისთანა თესლებს **ლ ა ყ ს** ეძახიან, რადგან იქიდგან ჭია არ გამოვა.* ახლად დაყრილი თესლი ყვითელი ფერისა არის, და რამდენიც დღე გავა იმდენი უფრო და უფრო მუქ ფერს იჭერს და რამდენსამე დღეს შემდეგ ნაცრის ფერისა შეიქმნება ხოლმე; ლაყ თესლს კი ყოველთვის ყვითელი ფერი აქვს;—ამ ნიშნით შეიძლება იმის გადარჩევა და გადაყრა; ჭიის თესლი სიდიდითა და სახით ლაჟლაჟის (ხაშხაში) თესლს მიემსგავსება.

რადგან ყველა დედალი პეპელა საშუალო რიცხვით ხუთას თესლსა ჰყრის, და მისხალნახევრის წონას კი უნდება შვიდი ათას ხუთასი თესლი, ამისგამო მისხალნახევარი თესლის ასაღებად (მომავალი წლისთვის) საჭირო სათესლედ თვრამეტი წყვილი დედალ მამალი პეპელა შეინახონ. (ვისაც სამი მისხალი თესლის ალება უნდა—იმან ორჯერ ამდენი პეპელა უნდა გადაანარჩუნოს). საპეპლეზე უნდა აარჩიონ მომსხო, მაგარი, ულაქო პარკები, მერე ერთ თაბახ ქალალდზე ხის წებოთი მიაკრან და მერე ისეთ ალაგას უნდა დადონ, რომ მზემ არ დასწოს, რადგან სიცხისაგან პარკებში ადვილად ხმებიან ბოჟები და ამიტომ პეპლებიც ველარ გამოდიან.

თესლს რომ მოაგროვებენ, გაზაფხულამდის მშრალ, გრილ ალაგას უნდა შეინახონ; (ცხელსა და ნოტიო ალაგას შენახული აღარ

გამოდგება); თაგვსაც უნდა დაუმალონ, თორემ იმათ ძალიან უყვარსთ ჭიის თესლი.

## აბრეშუმის პარკებში ბოჭების ამოხრჩობა.

სათესლე პარკებს რომ გადაარჩევენ, მერე უნდა აიღონ ცოცხებიდგან სხვა პარკებიც, მოაცალონ გარეშემო რაც აწეწილი აბრეშუმი ექნება, ლაქიანი პარკებიც უნდა ცალკე გადაარჩიონ. პარკები ცოცხებიდგან უნდა მეცხრე დღეს აჰკრიფონ, (იმ დღიდგან უნდა დათვალონ, რა დღესაც ჭია აბრეშუმის პარკის კეთებას დაიწყებს). რადგან, როგორც ზევითა ვსთქვით, პეპელა-გამოსული პარკები ამოსახვევად აღარ ივარგებს, ამის გამო სათესლედ მხოლოდ იმდენი პარკი უნდა გადაარჩიონ, რამდენი თესლიც უნდათ (რამდენი თესლისთვის რამდენი წყვილი პეპელა უნდა, ისიცა ვსთქვით ზევით); სხვა პარკებში კი ბოჭები უნდა ამოახრჩონ. ბოჭების ამოხრჩობა სხვა და სხვა ნაირად იციან: სადაც გრილა და მზეს დიდი სიცხოვლე არა აქვს, იმისთანა ადგილებში კალათაში ჰყრიან აბრეშუმის პარკებს და ცოტახანს ნელად გახურებულ ფეჩში ან თონეშია სდგმენ; სიმხურვალისაგან ბოჭები პარკებში სულ დახმებიან და პეპლებიც ვეღარ გამოვლენ; სადაც კი ცხელა, მაგალითად: ჩვენში, საჭირო არ არის არც თონე და არც ფეჩი; აქ შეიძლება ჭილოფებზედ ან ტილოზედ გაფინონ თხლად პარკები და ცხელ მზეზედ გამოიტანონ; მზის სიმხურვალესაც შეუძლიან ბოჭების გახმობა პარკში. მაგრამ ბოჭების ამოსახრჩობად ყველაზე უკეთესი საშუალება ეს არის: ორ ჩაფიანი ქვაბით უნდა წყალი შედგან ცეცხლზედ და როცა დუღილს დაიწყებს, მაშინ უნდა ორი ჯოხი გადონ ქვაბზე და ზედ საცრით პარკები უნდა დადგან; ამ საცერში პარკები ოთხი თითის სისქეზე უნდა ეყაროს; საცერს რომ დაჰდგმენ ქვაბზედ, ზედ (საცერსაც და ქვაბსაც) უნდა რამე გადაჰხურონ, რომ საცერში ორთქლი დატრიალდეს; ნახევარ საათს შემდეგ საცერი უნდა აიღონ. ამ გვარად ორთქლისაგან ბოჭები სულ ამოიხრჩობიან პარკებში. საცერი რომ გადმოიღონ ქვაბიდგან, ორი ან სამი პარკი უნდა გასჭრან და დარწმუნდნენ, გამომხრჩვალან თუ არა ბოჭები; თუ გამომხრჩვალან—პარკები უნდა მზეზედ გაფინონ გასაშრობად, რომ სინოტიე არ შეჰყვეს, თორემ აბრეშუმი ცუდი გამოვა. როდესაც პარკებში ბოჭები ამოიხრჩობიან, მაშინ ყველა პარკები მთლად დარჩება რადგან პეპლები აღარ გამოვლენ პარკებიდგან. მთელი პარკებიდგან შეიძლება აბრეშუმი ამოიხვიოს და პარკებათაც შენახვა ადვილია, ოღონდ კი ისეთ ალაგას შეინახონ, რომ თაგვმა არ გააფუჭოს. ერთ გირვანქა აბრეშუმს უნდება ორასი ახალი (გაუშრობი) პარკი და მშრალი პარკისა კი უფრო ბევრი—ოთხას ოცი; აქედგან გამოდის, რომ მისხალ-ნახევარი თესლიდგან ავა ორი ლიტრა, ან ოც გირვანქამდის გამშრალი პარკი. თითო პარკიდგან ამოიხვევა წმინდა ძაფი სიგძით ოთხასი საჟნიდგან შვიდას საჟნამდის, (რვა ასი ადლიდგან ათას ოთხას ადლამდის).

## აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა.

როდესაც ცუდად უვლიან აბრეშუმის ჭიას, მაშინ იმას სხვა და სხვა ავად-მყოფობა გამოაჩნდება ხოლმე, და უფრო ხშირად შემდეგი:

ა). **სიწითლე**, რომლისაგანაც ჭია მოეშვება და უძრავად არის ერთ ალაგას; სიწითლისაგან ფერიც ეცვლება ხოლმე: მუქი ნაცრის ფერის მაგიერად, წითელ ლაქებიან ფერს დაიჭერს. ეს ავადმყოფობა ჭიას პირველ ხუთ დღეში გამოაჩნდება ხოლმე და ხშირად ამ ავადმყოფობითაც იბადება. ორი მიზეზი აქვს სიწითლეს: ერთი, რომ თესლს ძალიან თბილ ალაგას შეინახვენ და მეორე, მაშინ გამოაჩნდება, როდესაც წვრილ ჭიებს თბილი ალაგიდგან ცივ ალაგში გადაიტანენ, ან ცივი ალაგიდგან თბილში.

ბ). **სიყვითლე**, რომლისაგანაც ჭია ჭუჭყიან ყვითელ, ელვარე ფერს იჭერს, და როცა კვდება ყვითელი. ჩირქი გამოჰდის ტანიდგან. ეს ავადმყოფობა გადამდებია და თუ სიყვითლიან ჭიას კარგამყოფი მიეკარა, ისიც სიყვითლით გახდება ავად. სიყვითლე აჩნდება ჭიას მეოთხე ძილს შემდეგ (ოცდა ორი დღისა რომ შეიქმნება), თუ მჭიდროდ არიან თაროზე და ან თუ ნორჩს, შემოუსვლელ ფოთლებს აჭმევენ. სიყვითლით ავად რომ არ გაჰხდეს ჭია, თაროებზედ უნდა ხალვათად (ფართოდ) გაჰფინონ და ფოთოლიც შემოსული აჭამონ; ოთახშიაც წმინდა ჰაერი უნდა შეუშვათ; (ორი პირდაპირი მხრიდგან კი არ უნდა გაუღონ ფანჯრები და არც ცივ, ნოტიო დღეში). რაწამს ჭიებს სიყვითლე შეატყონ მაშინვე უნდა გადაყარონ შორს, რომ კარგა მყოფებსაც არ გადაედოს.

გ). **თეთრი სიკვდილი**, რომლისაგანაც ჭია მადასა ჰკარგავს და გაჭიმული გდია ერთ ალაგას; ამ ავადმყოფობიან ჭიას ისეთი ფერი აქვს, როგორიც კარგა მყოფს; ეს სენიც მეოთხე ძილს შემდეგ დაემართება ხოლმე, თუ ოთახში ძალიან ნოტიო და მომხრჩვალი ჰაერი დგას; ამის გამო ჰაერი უნდა ყოველთვის დაწმინდონ ოთახში, როდესაც მშრალი და თბილი დღე იქნება. ამ ავადმყოფობიან ჭიებს ეძახიან **თეთრ მკვდრებს**.

დ). **სიშავე**, რომლისაგანაც ჭია ნელ-ნელა შავდება, მერე ტყავი უსქდება და იქიდგან სქელი, შავი ჩირქი გამოჰდის. ეს ავადმყოფობა გამოაჩნდება ხოლმე ჭიას მაშინ, როდესაც ცოცხზედ აცოცდება პარკის გასაკეთებლად; ხანდახან ისიც მოხდება ხოლმე, რომ ჭია დაიწყებს პარკის კეთებას და მაშინ დაემართება ხოლმე **სიშავე**.

ე). **ზაქვავება**, რომელიც ემართება ხოლმე ჭიას სიკვდილის წინ; მაშინ ჭია მაგრდება (ქვავდება) და კანიც უწითლდება. ეს ავადმყოფობა მოსდის ჭიას ყველა ხანში.

რასაკვირველია უკეთესი იქნება, ჭიის მომყვანი ეცადოს, რომ ჭიას ავადმყოფობა რამე არ გაუჩნდეს. ამისთვის ჯერ ყველაზედ დიდი სიფრთხილე თესლის ყიდვაში ჰმართებთ. თესლი არაოდეს არ უნდა იყიდონ ისეთი, რომელიც არის მოგროვებული იმ აბრეშუმის ქარხნებში, სადაც ჭიის ავადმყოფობა რამე ყოფილა. მერე თითონ ჭიასაც ძალიან უნდა უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ: ყოველთვის ახალი საჭმელი უნდა აჭამონ, თაროებზედ სქლად არ უნდა იყვნენ გაფენილნი, ბუდე თავის დროს უნდა გამოუცვალონ ხოლმე, საკმაო სითბო უნდა იყოს ოთახში, ჰაერიც რიგზედ დაუწმინდონ ხოლმე და სხვ. თუ ამ სიფრთხილეებმაც არა უშველა რა, და ჭიას ავადმყოფობა რამე გაუჩნდა, ავადმყოფები მაშინვე უნდა აირჩეს და მიწაში ჩაიფლას (გარეთ), და კარგა მყოფებს კი კარგად მოუარონ. ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ავადმყოფობა ბევრჯერ ერთი ქარხნიდგან მეორე ქარხანაში გადაჰდევს ხალხს; ამისთვის არ უნდა მიუშვონ აბრეშუმის ქარხნებში ის კაცები, რომელნიც იმ ქარხნები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ არიან, სადაც ჭიის ავადმყოფობა გაჩენილა. ამასთან ერთი გამოჩენილი რუსეთის მეაბრეშუმე იმასაც ამბობს, რომ თუ ჭიაში ავადმყოფობა გაჩნდაო, მეორე წელიწადს ყველა იარაღი: თაროები, ბადეები, ცოცხები და სხვ, რასაც კი ავადმყოფ ჭიას ახმარებდნენ, ახალ ჭიას არ უნდა ახმარონ, თორემ ამ იარაღებისაგან იმათაც გაუჩნდება ავადმყოფობა; და თუ სულ არ გამოსცვლიან ამ იარაღებს,—ეს მაინც უნდა ჰქნან, რომ სულ დაწმინდონ და დარეცხონ საპნითა და წყლით; სარეცხ წყალშიაც უნდა ცოტაოდენი შაბიამნის ზეთი გაურიონ; ოთახი გოგირდით უნდა გამოახრჩოლონ და რამე სალებავით შელებონ. მაშინ იმ ოთახში შეიძლება მეორეთ მოიყვანონ ჭია.

### თუთის ხე (ფურცელი), იმის გაშენება და აბრეშუმის მოყვანისაგან სარგებლობა.

თუთის ხე (ფურცელი) სამ ნაირია: თეთრი, წითელი და შავი. ნაცადია, რომ თეთრისა და წითელი თუთის ფოთოლს უფრო კარგა სჭამს ჭია, თუ ეს თუთა თესლით არის მოყვანილი;—ეს კია, რომ დაბლობ, ჭაობიან ალაგში გაშენებული თუთის ფოთოლი (რა ჯიშისაც უნდა იყოს) აწყენს აბრეშუმის ჭიას.

ჩვენში თუთას ისეთი მოვლა არა სჭირდება, რომ ძნელი იყოს იმის მოყვანა. ყველა მიწის პატრონს შეუძლიან იმდენი თუთის ხე იქონიოს თავის მიწაში, რომ, სულ ცოტა, მისხალ ნახევარი თესლიდგან გამოსულ ჭიას მაინც ეყოს. თუთის მოყვანა ყველგან შეიძლება. ეზოში, ბოსტნებში, ვენახში და სხვ; ეს კია რომ ვენახში ისეთ ალაგს მოიყვანონ, რომ ვაზებსა და ბოსტნეულს არ უჩრდილებდეს.—ჩვენებურ ვენახებში და ეზოებში კაცი მრავალ ნაირ უსარგებლო ხეებსა და ჯაგებსა ჰნახავს, მაგალითად: მაყვალს, კუნელს, ტირიფს და რამდენს სხვას, რომელთაც მოგება არა მოაქვსთრა პატრონისთვის. რასაკვირველია ბევრით უკეთესი და მოსაგები იქნება მამულის პატრონისთვის, რომ ეს მოხსენებული, უსარგებლო ხეები და ჯაგები ამოაგდოს და იმათ მაგიერათ თუთის ხე მოიყვანოს, რადგან სარგებლობასაც ბევრს გამოიტანს და მოსაყვანათაც ძნელი არ არის.

მით უფრო სასარგებლოა ჩვენი სოფლელებისთვის აბრეშუმის მოყვანა, რომ ჯერ ერთი, რომ ის ხე ძალიან ადვილად ხარობს, მეორე—აბრეშუმის ჭიას დიდხანს არ შესცქერიან და ბევრს ხარჯსა და ჯაფას არ ამდომებენ და მესამე,—როდესაც აბრეშუმის ჭია იზრდება—იმ დროს ჩვენ სოფლელ ქალებს მომეტებულებს თითქმის სრულებით არაფერი საქმე არა აქვსთ. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა სახეირო გარემოებაში, ძალიან გარგი იქნება, რომ ჩვენმა სოფლის ქალებმა სხვათაშორის, აბრეშუმის ჭია მოიყვანონ და იმითი თავიანთ ოჯახს შეჰმატონ.

მისხალ ნახევარი თესლიდგან გამოსული ჭიის გამოსავალი ეს არის:

თუ კარგა აჭამეს ჭიას (იმდენი და იმდროს, როგორც ზევით ავწერეთ) და კარგათაც მოუარეს, მაშინ იმათი გაკეთებული პარკებიდგან წმინდა აბრეშუმი გამოვა ორ გირვანქა ნახევარი. ამ აბრეშუმის ფასი იქნება—სულ ცოტა—ორი თუმანი, ან ორ თუმან ნახევარი. (აქ თუ ჩვენი ჩარჩების ოსტატობა მოვიგონეთ, აბრეშუმის ყიდვაში, როგორც სხვა მოსავლის ყიდვაშიაც, მაშინ ჩვენი გამოანგარიშება ტყუილი ეგონებათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ რა ფასადაც ჩვენი ჩარჩები ყიდულობენ სხვა და სხვა სოფელში სხვა და სხვა მოსავალს, ის ფასი არას გზით არ ჩაითვლება წესიერ ფასად, და თითონ ჩარჩებიც წესიერებაზე ძალიან შორს არიან. ამის გამო კარგი იქნება, რომ ერთი სოფლის მეაბრეშუმეებმა აბრეშუმები ერთად შეაგროვონ (ყველამ თავის აბრეშუმის წონა დაიხსოვნოს), ერთ სანდო კაცს ჩააბარონ და იმის საშუალებით პირდაპირ იმას მიჰყიდონ, ვისაც თვითონ ჩარჩები მიჰყიდევენ ხოლმე. მაშინ აბრეშუმის მომყვანებს უფრო დიდი მოგება ექნებათ და ჩვენ ნათქვამშიაც ტყუილს არ შეგვწამებენ. ან თუ ეს ჩვენი რჩევა არ მოეწონებათ, სხვა რამე მოაგვარონ, რომ ჩარჩებისაგან უფრო ცოტათი მოტყუვდნენ ხოლმე აბრეშუმშიაც და სხვა გასასყიდ მოსავალშიაც).- ორ თუმან ნახევარს ექვს, ან შვიდ კვირაში არა მოსავალი არ აძლევს, რომელზედაც დახარჯულია სულ მისხალ ნახევარი ჭიის თესლი და ცოტაოდენიც შრომა. ვინც სამ მისხალ თესლს გამოიყვანს, ის ორ ამოდენა მოგებასაც მიიღებს და სხვ. ამის გამო ჩვენ ყველა ჩვენს სოფლის მემამულეებს ვურჩევთ უმაქნისი ჯაგებისა და ხეების მაგიერად, თავიანთ მიწებზედ და ცარიელ ადგილებში თუთა გააშენონ.

სათესლედ ჩამოცვივნული და დამწიფებული თუთა უნდა მოაგროვონ ერთ რამე ჭურჭელში, სამ დღეს დააცალონ რომ უფრო დამწიფდეს (დალბეს); მერე უნდა დაჭყლიტონ და ძალიან გაწურონ; ეს გაწურული თუთა უნდა საცერში ჩაყარონ, დაასხან წყალი და ქვაბზე დადგან; როცა წყალი გავა, თან თესლსაც გაიტანს; (საცერი ისეთი უნდა იყოს, რომ თუთის თესლს გასვლა ადვილად შეეძლოს); როდესაც საცერი დაიცლება—მაშინ კიდევ დაასხმენ წყალს, მანამ თესლი სულ გავა საცერში. მერე ქვაბიდგან წყალს გადაასხმენ და ძირს წმინდა თუთის თესლი დარჩება. ეს თესლი უნდა თხლად გაფინონ ფარდაგზედა, ან ტილოზედ და ისეთ ალაგას გააშრონ, რომ არც ციოდეს და არც ცხელოდეს. გამშრალი თესლი შეიძლება დათესონ სადაც ჰსურთ და ამოვა თუთა.

თუთის მოყვანაზე შემდეგში უფრო ვრცლად მოვილაპარაკებთ.

---

## რუსის ცხოვრებიდგან

ერთი სახელ განთქმული რუსის მწერალი, იაკუშკინი, მგზავრობს ხოლმე რუსეთის სოფლებში იმ აზრით, რომ აღმოხატოს დაბალი ხალხის ცხოვრება და იმის ვითარება. მზის ჩასვლისას იაკუშკინი ერთი სოფლის მახლობლათ ელაპარაკება რუსის გლეხს და პატარა ყმაწვილს, რომელიც შკოლიდგან შინ მიმავალა, შემთხვევით შეჰყრია იაკუშკინსა და დაუწყია თავის სწავლაზე ლაპარაკი. განსაკუთრებით შესანიშნავია გლეხის ლაპარაკი, რომელშიაც ნათლად იხატება რუსის გლეხკაცობის აზრი თავის უფროსებზე და მოხელეებზე.

— ძმობილო, აი რას გეტყვი—უთხრა იაკუშკინს გლეხმა, და გვერდით მოუჯდა.—აი რა ამბავია ახლა ჩვენში: მაზრის უფროსმა გამოგვიცხადა: ხალხი შეჰყარენითო; მამასახლისი უნდა ამოირჩიოთო .... შევიყარენით და ვარჩიეთ, ვინ უნდა ყოფილიყო მამასახლისათ? ერთმა ბერმა კაცმა სთქვა: მოდი პეტრე იყოსო; მეორე ამბობს, არა ისიდორე დავაყენოთო ... ამასობაში ვინღამაც დაიყვირა: არც პეტრე, არც ისიდორე: ვანო სილაგინი უნდა იყოსო ... კინაღამ ყველანი სიცილით არ დაიხოცნენ; სილაგინს არც ეზო

ეროვნული

აქეს; ერთი ქოხი ჰქონდა, ისიც დაექცა; თავის დღეში ნამუშევარი არ მოუყვანია: ადგილს სხვას აძლევს; აიღებს ფულს, გაფანტავს და მერე სოფლის სამოწყალოთ რჩება!

— აბა ის რა სამამასახლისო კაცია-მეთქი?

— დაიცა ყური დამიგდე!

— მაშ საქმე რითი გაათავეთ?

— აი რითი; მოხუცებულებმა ყოყმანი დაიწყეს, ის კი თავისას არ იშლიდა: არა, ვანო სილაგინი ამოვირჩიოთ და ვანო სილაგინიო! —ვინიცის, რათაო?—„აი რათაო? თუ ვინმე შეძლებული ამოვარჩიეთ, ცემა-ტყეპას დაგვიწყებსო. ვანო სილაგინი რომ ამოვირჩიოთ, იმას მთელი სოფლის ხათრი ექნებაო, რასაც მთელი სოფელი იტყვის, იმას ვერ გადაუვა, ჩვენ ბატონები ვიქნებით და ის ჩვენი მოსამსახურეო„. მოხუცებულებმა იცინეს, იცინეს და ბოლოს ასე გადასჭრეს. . . .

„ეჰ, იყოს ვანო მამასახლისათაო. მთელი სოფელი დათანხმდა და ვანო მამასახლისათ შეიქნა. Იცი ძმობილო რა ქმნა იმ ვანო სილაგინმა.

— რაო, რა მოახდინა?

— აბა როგორ გგონია?

— ღმერთმანი, არ ვიცი.

— აი რა ჰქმნა:

—ზის ჩვენი ვანო თავის ქოხში ფანჯარასთან. Იმის ქოხის წინ ვილამაც გაიარა. როგორც მოგეხსენება, ქუდი მოუხადა, თავი უნდა დაეკრა... „ბიჭო, ეი, აქ მოდი“—დაუყვირა ვანომ გამვლელსა. ბიჭმა ქუდი იღლიაში დაიჭირა, და ისე შევიდა ვანოს ქოხში. აჰ, შე, გლეხო უზრდელო ვიროვო.... ეჰე, სად დაგინახე! როცა ახლოს მოხვედი, მარტო მაშინ გაგახსენდა ქუდის მოხდა!... შენა გგონია, რომ შენი ტოლი ვარ!.. განა არ იცი, რომ მე შენი უფროსი ვარო!..“ ბაუშალა, ლეწა და ლეწა სილები!... ვთქვით: „ეგ არის, აი, რომ სოფლის პატივისცემა ექმნებაო!...თუ ჴი ვანო სილაგინს გლეხობა არ უნდა, მაშ გლეხობა კარგი არ ყოფილა! თუ საქმე გაქვს რამე, ტყუილა წინ ნუ გაუვლი: არაყი არაყათ იყოს, მეგობრობა მეგობრობათ; მაგრამ ფული კი სტოლზე დადე. Ფულითაც რომ მიხვიდე და ყბები არ შეგილეწოს, ღმერთს მადლობა შესწირე!.. ღმრთის გეფიცები ტყუილს არ ელაპარაკობდე... შენ უყურე როგორი სახლი დადგა!.. სასახლე ეგონება!... ს იდამ იშოვნა!—ყველას ყბებს ულეწდა და იქიდგან. Ყველა მიხვდა, რომ ვანო კი არა, დიდი Ივანე პეტროვიჩი გახლავთ ჩვენი უფროსიო. სილაგინი კ ხომ აღარ დაირქვა. არა, რაღაც კეთილშობილური გვარი მიიღო.

— აგრეთი მამასახლისი რათ ამოირჩიეთ?—მე ვკითხე.

— ვინ ეშმაკმა იცოდა, რომ აგრეთი გამოვიდოდა.

Ავდექი და გამოთხოვების დროს ვუთხარი-გმადლობ, ძმობილო, რომ შემაქციე მეთქი.

— ბაგიმარჯოსო! —იმან მიპასუხა.

— მშვიდობით.

მე ისევ ჩემ გზას დავადექი: იმ გლეხმა კაცმა სწორეთ მართალი სთქვა: სწორეთ ყველას ყბები უნდა ულეწო, რომ ყაზახი (გლეხი კაცი) არავინ დაგიძახოს, ვთქვი ჩემ გონებაში,—ჩვენ მაინც ყოველთვის ამას ვცდილობთ; თუკი შეიძლება ვისიმე სილის გარტყმევა, უეჭველათ გავარტყამთო—ამბობს Იაკუშკინი.

აი თუნდ თვითონ ვანო სილაგინი! წინათ ვინაც კი წაეწეოდა, ყველა თავში ურტყამდა, ახლა როცა დიდი Ივან პეტროვიჩი გახდა, ისიც ისე იქცევა! ვინ გაამტყუნებს!

სადლაც წავიკითხე, თუ მითხრა ვინმე, ეს აღარ მახსოვს, მაგრამ ერთს ამ გვარს ამბავს მე თვითონ მოგახსენებთ.

ქენჭის ყრის წინათ ერთი ყველასგან პატივცემული მებატონე ეწვია მარშალს. რასაკვირველია, მასპინძელი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, კარგათ დახვედროდა და პატივი ეცა. ბოლოს მარშალმა აჩვენა თავისი ოჯახობა; რადგან ორნივ ძაღლების მოყვარულნი იყვნენ. წავიდნენ საძაღლეს სანახავათ.

ბიჭო, ეი შენ! წადი ერთი ამა და ამ ძაღლის ლეკვები გამომგვარეო.

ბიჭმა მაშინვე მოიყვანა ლეკვები.

მარშალმა ჰკითხა თავის სტუმარს: აბა გამოიცან ამ ლეკვებში რომელი უნდა გადაიგდოს და რომელი უნდა დარჩესო...ამათში რომელი სჯობიაო?

სტუმარი ჩაფიქრდა.

— სთქვი და რომელი სჯობია?

— ღმერთმანი, არ ვიცი.

— მაინც?

— არ ვიცი, თქვენმა მზემ.—Თქვენც ეგრე არა ხართ ხოლმე! ამორჩევის დროს:-გვგონია, რომ კარგ კაცს ვირჩევთ, მაგრამ როცა ამოვარჩევთ!...Ისეთი საძაგელი რამ გახდება, რომ... ლეკვების გამორჩევაც ხომ ეგრეთია.

მთელი სოფელი არჩევს თავ-კაცს: არა, უეჭველათ ვანო სილაგინი უნდა იყოს თავკაცათაო. ამ ვანოსა ყველა თავში სცემს.

როცა თავ-კაცათ გახდიან, მაშინ ხომ ხელს ვერავინ ახლებს; სოფელიც რასაკვირველია გლეხის ხელსაც აღარ აკადრებს, რასაკვირველია, რომ ვანო სილაგინისთანა კაცებს თავს გაუვლით და, როგორც სხვანი ექცეოდნენ, ისინიც ისეთ რიგათ მოიქცევიან.

ამ ფიქრში ვიყავ. როცა სოფელში მივედი.

— Ერთი გლეხი შემომხვდა და იმას ვკითხე: აქ სადმე, ღამეს ვერ გავათევ?

— საცა გინდაო.—მითხრა.

— შენთან წამოვიდე?

— მობრძანდით.

— Არაყი ხომ არ სად იშოვება?

— როგორ არა?

— მაშ დუქანში წავიდეთ.

— წავიდეთ.

დუქანში შევედით; მე და ჩემ მასპინძლისთვის არაყი ჩამოვასხმევინე.

— Თქვენ საიდგან ბრძანდებით—მკითხა მედუქნემ.

საიდამაც ვიყავი, ვუთხარი. მე ისევ სილის გარტყმევაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი: ეს როგორ არი—მეთქი, რომ აქ ამისთანა ადათი ყოფილა: „სილა გაარტყი, თორემ გლეხს დაგიძახებენ“. Იმ გლეხის ლაპარაკიც დაწვრილებით ვუამბე. Თანაც მიკვირდა.

— Ეგ რა გასაკვირიაო,—მიპასუხა.

— როგორ?

— Იმ გლეხს მართალი უთქვამს.

— რას ამბობ?

— მე კიდევ უფრო კარგს გეტყვი.

— აბა, გეთაყვა.

— ჩვენში ერთი ლატაკი გლეხი იყო; სალდათის მოკრეფის დრო მოვიდა, მოავლეს ხელი და სალდათათ წაიყვანეს.... Უნდა გითხრა, რომ ძალიან მარჯვე კაცი იყო. Ასეთ გაიძვერა რამ იყო, რომ წყალზე წაგიყვანდა არ დაგალევინებდა, ისე მოგიყვანდა. რამდენიც წესი იყო, იმდენი იმსახურა და უნდა აფიცრათ გახდა; ამან რომ თორმეტი წელიწად იმსახუროს მერე, თუ კი წერა-კითხვა იცის აფიცრობასაც მისცემენ. რაკი აფიცრობა გაიკრა, პოლკიდგან გამოვიდა და დიამბეგათ დაგვიყენეს... Უნდა იკითხო, რა საქმეს შერებოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიამბეგობაში? --შენ როგორა გგონია... ჰა?

— რასა შერებოდა?

— აი რასა... ეს ამბავი ჩემ დროს იყო.... სოფელი ხომ უმისოთ ვერ იცხოვრებს, თუ სადაო საქმე არა ატყდა რა. მერე დაიწყებენ, როგორც მოგეხსენება, ერთმანერთში ჩხუბს და დავიდარაბას. საქმეს საჩივლელათ გახდიან. შენ უნდა უყურო, რა ამბავი მოხდება! ტყუილათ კი არ არის ნათქვამი: ღმერთო ხალხი წაჰკიდეო, უფროსები გაჰკვებეო.... ჩვენ სოფელში წაიკიდა, ორი მეზობელი. როგორც მოგეხსენება, ჯერ წილს ჰყრიან, ცხენი ვისი უნდა შევაბათ და ურემი ვისი წავიღოთო. შეაბმენ ცხენს, ურემზე წაკიდებულები დაჯდებიან და ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ: ვითამც და ერთმანეთზე გაჯავრებულნი ვართო.

ამ ლაპარაკზე გამეცინა.

— რა გაცინებთ... იცი, რა გითხრათ: მზაზე ვთქვათ ერთი თამბაქოს ამოიღებს, მოწევა უნდა; ჰკრავს თავის მოდავეს ქისტსა და ეტყვის: მოჩხუბარო თამბაქო არ გინდა. ხომ არ შეიძლება, რომ ერთმანეთს სახელი დაუძახონ?—არა... მოჩხუბარს თუ უნდა, გამოართმევს თამბაქოს და ხუმათ წევას დაუწყებს. ხმას კი არა სცემს. ამ ნაირათ ეს მეზობლებიც მივიდნენ მდივანბეგთან. უველამ იცოდა, რომ დიამბეგი ცხარი კაცი იყო. მივა თუ არა მოჩივარი გლეხი, მაშინვე წვერში წაავლებს ხელს და სწეწავს რამდენიც ძალი და ღონე აქვს.

მაჩხუბრები მივიდნენ თუ არა, დიამბეგის მწერალმა ჰკითხა: რა გინდათო.

— ასე და ასე გახლავთ ჩვენი საქმეო — დიამბეგთან მოვედით საჩივლელათო.

იმავ წამს მწერალს ხელში აძლევენ: ერთი ხუთ შაურს, მეორე ათ შაურს. რომელიც ათშაურს აძლევს, იმას პირველ შეიყვანს დიამბეგთან.

შევიდა ათი შაურის მიმცემი.

დიამბეგმა ერთი ორი სილა სტკიცა და მერე კითხვა დაუწყო: რა გინდა, რისთვის მოსულხარო?

გლეხმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ამოიღებს ერთმანეთს და სტოლზე დადებს.

— აბა, ახლა დაიწყე, — ეუბნება მდივანბეგი.

— ეს ბატონო ასეთი საქმეა, რომ ჩემი მაჩხუბარი ციმბირს ვერ გადაურჩება.

— სთქვი და.

— ხეები ვიყიდე, შენი ჭირიმე: საქათმე მინდოდა გამეკეთებინა. ძველი აღარ ვარგოდა, ახალი უნდა ამეშენებინა...

— საქმე თქვი და! ჩქარა.

— ჩემი მეზობლის ქათმები გადმოვიდნენ და ხეები წამიხდინეს, ისე რომ ხელში ასაღები აღარ არიან.

— ჰო, მაშ წადი.

გლეხი რომ გამოვიდა, მეორე იმის მაჩხუბარი შევიდა.

— ქათმები რათ გადაუშვიო შენი მეზობლისას — დაუყვირა დიამბეგმა, მივარდა და ცემა დაუწყო.

იმდენი სცემა, მანამდის არ მოსწყინდა; მერე გააგდო და თან ეს სიტყვები მიაყოლა: წადი დაიკარგე, მანამ ცოცხალი ხარო.

გლეხი გამოვიდა და მწერალი შეხვდა.

— რაო — ჰკითხა მწერალმა, — როგორ გათავდა შენი საქმე?

— ეჰ რა გათავდა! — მე კი ჩემი დამმართა და. . .

— როგორ?

— მცემა და პასუხიც არა მაღირსარა.

— ეე, ეგ ვერ მოგსვლია კარგათ.

— მანა მეკი არ ვიცი?

— დაიცა მე თვითონ შევალ.

მწერალი მდივანბეგთან შევიდა.

— როგორ არ უნდა ეცემა? შენმა მეზობლმა ერთი მანეთი მისცა, აბა, შენ რა მიეციო? — უთხრა მწერალმა.

— თუ ევრეა, მე ორს მივცემ.

— მისცემ და ორ მანეთის ტოლათ სცემს შენს მეზობელსა: მაგაში ჩვენი ბატონი ზარჯვეა, სიმართლე უყვარს.

— აბა როგორ უნდა მივართვა.

— შედი და მიართვი.

გლეხი შევიდა მდივანბეგთან და ორი მანეთი მისცა. მდივანბეგმა მაშინვე დაუძახა პირველ მეზობელს და ორი მანეთისა სცემა.

— ეს როგორ არისო, როცა გამოვიდა, დაუწყო მწერალს ლაპარაკი. ერთი მანეთი მივეცი და მადლობის მაგიერათ, ჩემ მეზობელზე კიდევ უფრო მწარედ მე მცემაო.

— ეგრეა ჩემო ძმაო. იმ შენმა მეზობელმა ორი მანეთი მისცა.

— მაშ მე სამს მივცემ.

— მისცემ და იმ შენს მეზობელს გასწეწავს ისე, რომ სამ მანეთად ღირდეს.

რასაკვირველია ამან მიართვა სამი მანეთი და, რადგან მდივანბეგი სამართლიანი კაცი იყო, სამი მანეთისა სცემა.

გალახული მირბის მწერალთან. ის ეუბნება შენმა მეზობელმა სამი მანეთი მისცაო. აძლევს გალახული ოთხს და იმის შესაბამათაც მდივანბეგი სცემს მეზობელსა.

ბოლოს მდივანბეგიც დაიღალა.

— ოჰ, დავიღალეო, — მდივანბეგმა დაიყვირა. თქვენ, ეი, ეშმაკის შვილებო? ორივე აქ მოდით.

მოჩივრები წარსდგნენ იმის წინ.

ორივეს როზგითა გცემთო, თუ არ შერიგებულხართო.

— მე....მე, შენი ჭირიმე, თანახმა გახლავარ... არ ვიცი ივანე რას იტყვის ამაზე.

— აბა, შენც თანახმა ხარ?

— რა, თუ ალექსის შერიგება ჰსურს, მეც თანახმა გახლავართ.

— აბა ახლა მადლობა მითხარით კარგი სამართლისათვის. იმათ თავი დაუკრეს.

— კარგათ გაგასამართლეთ თუ არა?

— კარგათ, შენი ჭირიმე. — ჭკუა გვასწავლეთ და ეგ იყო.

აი, ხომ ხედავთ — მედუქნემ მითხრა, — რომ არ ეცემა, აბა რა გამოვიდოდა. ახლა თითო ოროლი თუმანი დაეხარჯათ და საქმე ამით გათავდა. სასამართლოებში რომ წასულიყვნენ, მერწმუნე, მეტი დაეხარჯებოდათ! იმიტომაც ჩვენი გლეხკაცობა იმ მდივანბეგს უფრო პატივსა სცემს და უფროც უყვარს.

— მგონია მასხარაობთ. თქვენ ეს მითხარით, გლეხკაცობამ რისთვის უნდა სცეს პატივი მაგისთანა მდივანბეგსა?

— ემაგისთვის, აი!

— საკვირველია.

— აი, რას გეტყვით.

— ახლა, ამ ჟამათ, გვყავს ერთი ისპრავნიკი: ქალები წაიკიდებიან და წავლენ ხოლმე იმასთან საჩივლელათ. ის დაუწყებს ხოლმე იმათ გასამართლებას; როგორაო და რათაო?.. ქალის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, ერთი რომ დაიწყებს, მეორე პირში ეჩრება და ლაპარაკს არ აცლის. ასეთს ყვირილს და ალიაქოთს ასტეხენ, რომ ცოტა დააკლდება ხოლმე ხელდახელ შეტაკებასა. ისპრავნიკი ყურს უგდებს და ბოლოს ასე ეუბნება: „აბა შერიგდითო“! „თუ კი შერიგება სდომებოდათ, იმასთან რაღათ მივიდოდნენ. თავიანთ სახლშივე მორიგდებოდნენ და საქმე ამითი გათა-

ედებოდა"…ისი რა გითხრა? ეგრე მშვიდობიანათ რომ იქცევა, იმიტომაც არავინ სცემს პატივსა.

— როგორა, არ უყვართ?

— დასცინიან კიდეც და….

აქედგან რომ გამოვედი, წაველ ჩემ მასპინძლისას, ვახშამი ვსჭამე და დავწექი. არ დამეძინა; სულ ის მაგონდებოდა: ეს როგორ არის: ვთქვათ ახლა მე დიდი ღენერალი ვარ, განა პოლკოვნიკს უნდა ვსცემო? კანონით პოლკოვნიკი ხომ ცემისგან განთავისუფლებულია მეთქი. ღმერთო ეს გამაგებინე….არ მესმის, არ მესმის….

## არითმეტიკა.

### ორი
### 2.

მასწავლებელი აიღებს მარჯვენა ხელში ერთ ქვას და მარცხენა ხელში მეორე ქვას. მარჯვენა ხელში რამდენი ქვა მიჭირავს? — მარჯვენა ხელში ერთი ქვა გიჭირავთ.—მარცხენაში?—მარცხენაშიაც ერთი. ერთათ ისინი შეადგენენ ორს ქვასა. ერთი წიგნი და ერთი წიგნი რამდენსა იქმს?—სტოლზე ერთი წიგნია, ერთიც რომ მიუმატო რამდენი შეიქმნება?—ერთი ჯოხი და ერთი ჯოხი რამდენია? მაავლე საწერ ფიცარზე ერთი ხაზი, კიდევ რომ გაავლო რამდენი ხაზი იქმნება?—აბა გამოიცან ის ცხოველი, რომელსაც ერთი რქა აქვს და კიდევ ერთი რქა? —ცხვარს რამდენი რქა აქვს? — რამდენი ყური გაქვს? — აბა, ჩამოსთვალე რა ასოები გაქვს ორ-ორი?—რამდენი წალა გაცვია?—როცა ორი ნივთი სრულებით ერთი-ერთმანეთის თანასწორი და მგზავსია, მაშინ ამ ორს ეტყვიან წ ყ ვ ი ლ ს ა. ახლა მითხარი რამდენი წალა გაცვია?—მე მაცვია წყვილი წალა.—რამდენი წინდები გაცვია?

აი სპილენძის ფული, ვინ გამოიცნობს, რამდენია?—ეგ ერთი კაპეიკია.—კიდევ დავნიშნე ერთი კაპეიკი, ორივე ერთად რამდენს შეადგენს?

აი მეორე სპილენძის ფული; ეს მეტია წინანდელზე, ვინ გამოიცნობს რამდენია?—ეგ ორკაპეიკიანია.—ეს ერთი ფული რომ მივცე ორს ფულს თითო კაპეიკიანს მომცემენ.

რევაზს მამამ ერთი ვაშლი აჩუქა, იმან დამალა, და დედამაც კიდევ ერთი მისცა, ვინ გამოიცნობს რევაზს რამდენი ვაშლი აქვს? ვთქვათ, ერთი რამე ნივთი მაქვს, კიდევ იმისთანა რომ მიუმატო რამდენი შექმნება?—მაშ ერთი და ერთი რამდენია?

ვანოს ერთი ვაშლი აქვს, კოტეს ორი, რომელს უფრო მეტი აქვს და რამდენითა? ერთზე ორი რამდენით მეტია?—ერთი ორზე რამტენით ნაკლებია?—აქ ერთი ნაფოტია, რამდენი უნდა მიუმატო, რომ ორი ნაფოტი გახდეს?

აი ორი კაკალი, რამდენი უნდა აიღო, რომ ერთი დარჩეს?—მაშ რამდენი უნდა აიღო, რომ აღარაფერი დარჩეს!—ორი ხაზი გავავლე, ერთი რომ წავშალო რამდენი დარჩება?—ქართველს ომში ერთი ხელი მოგლიჯეს, რამდენი დარჩა? ფეხი რამდენიღა დარჩა? — ორ ნივთში ერთი რომ წამართვან, რაღა დამრჩება?—სანდრო, ჰა ერთი კაპეიკი. —აბა სთქვით, რამდენჯერ მომიცია ერთი კაპეიკი?—ერთ ჯერ.—ახლა მითხარი ხელში რამდენი კაპეიკი გაქვს?—ერთი.—მაშ ერთჯერ რომ ერთი კაპეიკი მოგცე, რამდენი გექმნება?—ერთი მექმნება.

ნიკო, ჰა ორი კაპეიკი, აბა სთქვი ორი კაპეიკი რამდენჯერ მოგეცი?—ერთ ჯერ.—მაშ ერთ ჯერ ორი კაპეიკი რამდენია?—დედამ მისცა მიხაკოს ერთი მსხალი კვირას და ერთი ორშაბათს, რამდენჯერ მიუცია თითო მსხალი? ორჯერ.—მაშ ორჯერ ერთი მსხალი რამდენი იქნება?—ორი.—მოწაფეს გულსმოდგინებისთვის ორშაბათს ორი რკინის კალამი მისცეს, მერე კი მთელს კვირაში არა უჩუქებიათრა, მაშ რამდენ ჯერ დაუსაჩუქრებიათ მოწაფე?—ერთ ჯერ.—და რამდენი კალამი მიუღია ყმაწვილს საჩუქრათ?—ორი.—მაშ ერთ ჯერ ორი რამდენია?—ორია.

ერთი ნივთი რამდენ ჯერ შემიძლიან ვაჩუქო ვისმე?—ერთ ჯერ.—ორი ნივთი რამდენ ჯერ შემიძლიან ვაჩუქო თითო-თითოთ? – ორჯერ.—და ორ-ორათ რამდენჯერ შემიძლიან?—ერთჯერ.—პეტრე და სანდრო, ჰა, თქვენ, ორი ჯოხი, ისე გაიყავით ეს ორი ჯოხი, რომ თანასწორი გაგხვდესთ?—ჩვენ გვხვდება თითო-თითო.—მაგრამ ორი ჯოხის მაგიერათ ერთი მოგეცით, აბა, როგორ გაიყოფთ, რომ თანასწორი გერგოთ?—შუაზე გავჭრიდით.—თითო ნაჭერს რაჰქვიან, არ იცი?—ნახევარი.—სათითოვოთ რა გერგოთ?—ნახევარ-ნახევარი?—ეს ნახევარი რომ შევაერთოდ რა გამოვა?—ისევ მთელი შეიქმნება.—მაშ მთელში რამდენი ნახევარია?—მთელ ჯოხში ორი ნახევარია.-შევნიშნოთ რომ, თუ მთელი გავყავით რამდენათმე, თითო ნაჭერს ეწოდება მთელის ნაწილი, მაშ ჯოხი რამდენ ნაწილათ გავყავი?—ორ ნაწილათ.—ეს ნაწილები მეტ ნაკლები ხომ არყოფილან?—არა თან-ტოლი არიან.

(შემდეგი იქნება).

## განცხადება.

თბილისში, ნემენცების კალონიის ბოლოს, სახელმწიფო ბაღის (მუშტაიდის ბაღის) ბოლოს, პირუტყვთ და მცენარეთ აკლიმატიციის (*) სტანციაში ისყიდება ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი შ ი ნ ა უ რ ი ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი ს კ ვ ე რ ც ხ ე ბ ი შემდგომი ფასით:

ჯ ი ნ შ ი: თ ი თ ო ს ფ ა ს ი:

კოხინხინის ქათმისა — — — 7 — კოპეიკი
ბრამაპუტრის ქათმისა — — 7 კ. ნახევარი
დორკინგის ქათმისა — — — 10 — — —
იმერული ქათმისა — — — 1 — — —
აბრეშუმის ფერის ქათმისა — 10 — — —
ჰამბურგის ქათმისა — — — 5 — — —
თეთრი, შავი და ჭრელი ქათმისა 8 — — —
ოქროს და ვერცხლის ფერის
ქათმისა — — — — — — 12 — — —
ახალქალაქური ქათმისა — — 5 — — —
ოსური ქათმისა — — — — 3 — — —
პოლშური ქათმისა — — — 7 — — —
ბილანის ჯინშის ქათმისა — — 7 — — —
ხოხობთან შეერთებული
ქათმისა — — — — — — 35 — — —
ციცარისა — — — — — 35 — — —
ფარშევანგისა — — — — 1 — მანეთი
შეჰტუნის იხვის ჯინშისა — 5 — კაპ.
არაბული იხვის ჯინშისა — 10 — — —
ეგვიპტის ბატის ჯინშისა — 25 — — —
გრძელ ყურიანი ბატისა — 25 — — —

სტანციის გამგებელი უ. ნ. სიტოვსკი.

(*) აკლიმატიზაცია არის უცხო ქვეყნის ფრინველთ, მცენარეთ და პირუტყვთ გაშენება და მოვლა სადმე, ისე რომ ადვილად შეითვისონ მუნებური (იქაური) ჰავა და საჭმელი და მომავალში ადვილი გასაშენებელი და მოსავლელნი იყვნენ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го мая 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.